# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 603

25 ნოემბერი
"---" -------- 2022 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ. 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ. 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 27 ოქტომბრის №22.1650.1774 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქის" (ს/ნ. 402176943) ლიკვიდაციის თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **გიორგი ტყემალაძე**